დანართი: 1

ფორმა 4.3. მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურება ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
დასახლებული პუნქტი	დასახლებული პუნქტი, სადაც აბონენტს მიეწოდება მომსახურება
მიწოდების ტიპი	IPTV - DSL IPTV - ოპტიკა MMDS თანამგზავრული ინტერნეტ - ტელევიზია კოაქსიალური მიტრისი სადენიანი რადიო
ციფრული/ანალოგური	
ხელშეკრულების ტიპი	ფიზიკური ან იურიდიული
კოდირებული	კი ან არა
პაკეტის დასახელება	ყოველი პაკეტი — მათ შორის ნებისმიერი კომბინირებული ან დამატებითი პაკეტი —წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე სტრიქონად, მისი ზუსტი დასახელებით (მაგ.: „[საბაზო პაკეტი]+სპორტი", „[საბაზო პაკეტი]+კინო+სპოტი" და ა.შ.). თითოეული ასეთი სტრიქონის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს მხოლოდ იმ აბონენტთა რაოდენობა, რომლებიც სწორედ ამ პაკეტით ან კომბინაციით სარგებლობენ. ყველა სტრიქონის გასწვრივ მითითებული აბონენტთა ჯამი უნდა ემთხვეოდეს საერთო აბონენტთა რაოდენობას. ***შენიშვნა:*** პაკეტის დასახელება ა) თუ აბონენტმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ისარგებლა რამდენიმე პაკეტით/პაკეტების კომბინაციით, მიუთითეთ უკანასკნელი პაკეტი/პაკეტების კომბინაცია ბ) თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს აბონენტს მომსახურება ჰქონდა დაპაუზებული, პაკეტის დასახელების ველში მიუთითეთ „დაპაუზებული“
პაკეტის ღირებულება	პაკეტის ნომინალური ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ პაკეტი არის კომბინირებული შეთავაზების შემადგენელი კომპონენტი, მიუთითეთ კომბინირებული შეთავაზების სააბონენტო ერთობლივი გადასახადი. მაგალითად, თუ კომბინირებულ შეთავაზებაში მონაწილეობს ა) მობილური მომსახურება ბ) ფიქსირებული ინტერნეტი და გ) მაუწყებლობის ტრანზიტი და ამ ყველაფერში ერთიანად თვეში იხდით 30 ლარს, მიუთითეთ 30 ლარი.

კომბინირებული შეთავაზება	ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო გეგმა არის რომელიმე კომბინირებული შეთავაზების ნაწილი. კომბინირებული შეთავაზებაში იგულისხმება *ისეთი შეთავაზება, რომლებშიც ერთობლივად მონაწილეობს 2 ან მეტი მომსახურება შემდეგი ოთხი მომსახურებიდან:* 1. *მობილური მომსახურება* 2. *ფიქსირებული ტელეფონია* 3. *ფიქსირებული ინტერნეტი* 4. *მაუწყებლობის ტრანზიტი* ველის მნიშვნელობად მიუთითეთ კომბინირებულ შეთავაზებაში არსებული მომსახურებების რაოდენობა. მაგალითად, თუ კომბინირებულ შეთავაზებაში მონაწილეობს ა) მობილური მომსახურება ბ) ფიქსირებული ინტერნეტი და გ) მაუწყებლობის ტრანზიტი, მიუთითეთ „3“. დასაშვები მნიშვნელობები: 2, 3, 4.
აბონენტები	აბონენტების რაოდენობა, ვისაც საანგარიშო პერიოდში გაეწია მომსახურება ან დაერიცხა გადასახადი
დეკოდერების რაოდენობა	აბონენტების დეკოდერების (Set Top Box – STB) რაოდენობა
ახალი აბონენტების რაოდენობა	აბონენტების რაოდენობა, ვისთანაც საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ახალი ხელშეკრულება
სააბონენტო შემოსავალი	სააბონენტო შემოსავალი თუ პაკეტი არის კომბინირებული შეთავაზების შემადგენელი კომპონენტი, კომბინირებული შეთავაზებით მიღებული შემოსავლიდან გამოყავით მაუწყებლობის ტრანზიტით მიღებული შემოსავალი თქვენს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
დღგ	შესაბამისი დღგ